german cooperation
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

განმახორციელებელი

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

GI:DRM Global Initiative on Disaster Risk Management

განვითარების გარდაქმნა რისკის წარმოქმნის შემცირების მიზნით

კატასტროფის რისკის მართვის გლობალური ინიციატივა IV

გამოწვევა

კატასტროფები, ადამიანთა სიცოცხლის დაკარგვას, საარსებო წყაროსა და ეკოსისტემების განადგურებას იწვევენ. ხშირად საზოგადოება მათ შედეგებს წლების შემდეგაც კი განიცდის. COVID-19-ის პანდემიამ ნათლად დაგვანახა, რომ სამყარო სულ უფრო ურთიერთდაკავშირებული ხდება, ხოლო თან მზდევი კლიმატის ცვლილება დამატებით ხაზს უსვამს კატასტროფების გაზრდილ გავლენას საზოგადოებებსა და სექტორებზე. ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში კატასტროფების გამო ეკონომიკური ზარალი გაორმაგდა. ეს ტენდენცია კიდევ უფრო ამძაფრებს არსებულ უთანასწორობას, რადგან კატასტროფების ხარჯები უმეტესად დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებზე მოდის. ამასთანავე, მოსალოდნელია კატასტროფების რიცხვის ზრდა.

პროგრესი, რომელიც მიღწეულია სიღარიბის შემცირებაში, კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ქმედებებისა და მშვიდობის მშენებლობაში, ისევე როგორც ჯანმრთელობისა და სხვა ძირითადი ინფრასტრუქტურული სერვისების საყოველთაო ხელმისაწვდომობის კუთხით, ძლიერ ზარალდება არსებული და განვითარებადი კატასტროფების რისკების მიერ. განვითარების მიღწევებს საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ მასშტაბური კატასტროფები, არამედ რეგულარული სახის მცირე შემთხვევებიც. ინფრასტრუქტურის, სერვისების, მიწოდების ჯაჭვების და ყოველდღიური ცხოვრების სხვა აუცილებელი კომპონენტების შეფერხება ხელს უშლის პროგრესს სამართლიანი და მდგრადი განვითარებისკენ. მოსახლეობის მოწყვლადი და უმცირესობის წარმომადგენელი ჯგუფები განსაკუთრებით ზარალდებიან, რადგან კიდევ უფრო მცირდება მათი საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობასა და ძირითად სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

ახალი რსკების წარმოშობას ხელი შეიძლება შეუწყონ განვითარების პროცესებისა და ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილებებმა, თუ, მაგალითად, ისინი შეეხება:

- მოსახლეობის და ეკონომიკური კაპიტალის საფრთხის ქვეშ მყოფ ადგილებში გათავსებას;
- ქალაქებისა ან ინფრასტრუქტურის არაადეკვატურად დაგეგმასა და მართვას;
- ბუნებრივი რესურსებისა და ეკოსისტემების ზედმეტად გამოყენებას,
- სოციალური უთანასწორობის ზრდას განვითარების გადაწყვეტილებების გამო.

პროექტის სახელი	კატასტროფის რისკის მართვის გლობალური ინიციატივა IV
დამკვეთი	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BMZ)
პროექტის რეგიონი	გლობალური; კოლუმბია, საქართველო, პაკისტანი, სამხრეთ აფრიკის რეგიონი
ხანგრძლივობა	01.11.2023-31.10.2026

ჩვენი მიდგომა

ადამიანებისა და ინფრასტრუქტურის მდგრადობის გასაზრდელად და რისკების წარმოქმნის შესამცირებლად, ყველა სექტორში დაინტერესებული მხარეების რისკების აღქმის შესაძლებლობები უნდა გაძლიერდეს. ეს მათ საშუალებას მისცემს გამოიყენონ შესაბამისი მიდგომები კატასტროფისა და კლიმატის რისკების მიმართებით მართებული გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

GIDRM მიზნად ისახავს გააძლიეროს კატასტროფების რისკის მართვის (DRM) მიდგომები, როგორც ინტეგრირებული გადაწყვეტილებები შერჩეულ განვითარების თანამშრომლობის პროექტებსა (ტექნიკური და ფინანსური თანამშრომლობის პროეტები) და მათ პარტნიორ სტრუქტურებში. ინტეგრაციის პროცესიდან მიღებული გამოცდილება და გაკვეთილები გამოყენებული იქნება მომავალი პროექტების პორტფოლიოს განვითარების პროცესის ინფორმირებისთვის, რათა მომავალ პროექტებში უკეთ იყოს გათვალისწინებული რისკები.

ამ მიზნით, პროექტი ამზადებს კონტექსტური სპეციფიკური რისკის ანალიზს, რათა შეიქმნას პრიორიტეტული ზომების საერთო გაგება, რომელიც გააძლიერებს მედეგობას. ასევე სისტემატურად ხდება ხელმისაწვდომი რისკების მონაცემები. ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად ხორციელდება რისკის

მ.მ.: საგზაო ინფრასტრუქტურა საქართველოში, ჰუმანიტარული და გადაუდებელი ოპერაციების ცენტრი მოზამბიკში

ფოტოები: © GIZ/GIDRM

ფოტოები: ©Unsplash, r. ©GIZ

კონტაქტი

ჟაკლინ ბეგეროუ,
GIDRM-ის გლობალური მენეჯერი
jacqueline.begerow@giz.de

მ.მ.: კაშხლის ინფრასტრუქტურა პაკისტანში, ურბანული განვითარება ბოგოტაში,

შემცირების ღონისძიებები და ზიარდება ამ მიდგომებიდან ნასწავლი გაკვეთილები. პროექტი ხელს უწყობს სექტორებს შორის რისკების შესახებ ინფორმაციის გაცვლას და ეყრდნობა გლობალურ კარგ პრაქტიკასა და გამოცდილებას.

მოდულის მიზანი | გაძლიერებულია კატასტროფების რისკის მართვის მიდგომების გამოყენება, როგორც ინტეგრირებული გადაწყვეტილებები გერმანიის განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის შერჩეულ პარტნიორ ქვეყნებში.

სარგებელი

<u>რისკის შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება</u> მდგრადი განვითარების წინაპირობაა. განვითარების ნებისმიერ გადაწყვეტილებას აქვს პოტენციალი ხელი შეუწყოს მედეგ და მდგრად განვითარებას, მაგრამ ასევე პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს ახალი ან დამატებითი რისკების შექმნა.

კატასტროფის რისკის შემცირების სენდაის სამოქმედო ჩარჩო პროგრამის (2015-2030) შემდგომი განხორციელება მოითხოვს ახალ და ტრანსფორმაციულ მიდგომებს სისტემური რისკების გასაგებად, აღმოსაფხვრელად და ახალი რისკების წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად. ტრანსფორმაციული მიდგომები გულისხმობს რისკების შემცირების ან თავიდან აცილების შესაძლებლობების განვითარებას.

წარმატების ფაქტორები

ყურადღება გამახვილებულია კატასტროფების რისკის მართვის (DRM) მიდგომების ინტეგრაციაზე გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) ძირითად თემებში: „კარგი ფინანსური მმართველობა“, „კლიმატის ცვლილება და განვითარება“, „ურბანული განვითარება“ და „მდგრადი ეკონომიკური განვითარება'. მიმდინარე პროექტებთან და მათ პარტნიორებთან თანამშრომლობით, GIDRM მიზნად ისახავს DRM-ის, როგორც გამჭოლი საკითხის, ინტეგრირებას სექტორულ პროცესებში საერთაშორისო თანამშრომლობის ორმხრივ და რეგიონულ პორტფოლიოებში. ინიციატივა ეყრდნობა დამყარებულ თანამშრომლობის სტრუქტურებს პარტნიორ ქვეყნებსა და რეგიონებში, რათა ერთობლივად მოხდეს ინტეგრირებული გადაწყვეტილებების შემუშავება რეგიონული, ქვეყნის და სექტორის დაწყებითი აქტივობების კონტექსტებისთვის. უკვე არსებულ პროექტებში თავისი აქტივობების ჩართვით, GIDRM უზრუნველყოფს, რომ პროექტების განხორციელება აკმაყოფილებს პარტნიორი სტრუქტურების მოთხოვნებს და ასევე ამატებს პორტფოლიოში გრძელვადიანი ზომების უკეთ შემუშავების, შესაძლებლობების გაძლიერების და ცოდნის მართვის უნარს.

სად ვმუშაობთ

GIDRM მუშაობს სამ ქვეყანასა და ერთ რეგიონულ კონტექსტში მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რათა გააძლიეროს <u>რისკზე ინფორმირებული განვითარება</u>. კერძოდ, პროექტი მიმდინარეობს, კოლუმბიაში, საქართველოში, პაკისტანსა და სამხრეთ აფრიკის რეგიონში. ოთხივე კონტექსტისთვის, <u>რისკზე ინფორმირებული განვითარების ხელშემწყობი გარემოს ჩარჩო ანალიზი (EE4RID)</u> ტარდება სისტემური რისკებისა და პრიორიტეტების შესაფასებლად და რისკის შემცირების ღონისძიებების გასატარებლად საჭირო დაწყებითი აქტივობების ინდენტიფიცირებისათვის.

პროექტის თითოეულ ლოკაციაზე ინტეგრირებული იქნება EE4RID ანალიზი და გენდერული თანასწორობის ასპექტებ, ნაცადი მაგალითები, მეთოდები და კონცეფციები DRM მიდგომების დანერგვისათვის. GIDRM ასევე მიზნად ისახავს გლობალური სწავლისა და გაცვლის შესაძლებლობების ხელშეწყობას საერთაშორისო თანამშრომლობის შესაბამის აქტორებს შორის. GIDRM_ის მიზანია გამოიყენოს ურთიერთკავშირები ადგილობრივ საჭიროებებსა და იდენტიფიცირებულ დაწყებით აქტივობებს შორის კატასტროფების რისკის მენეჯმენტისა და რისკზე-ინფორმირებული განვითარების მეთოდების დასანერგად. ამის განხორციელება კი იგეგმება შემდეგი აქტივობების მეშვეობით: რისკზე ინფორმირებულობის გაძლიერებით; DRM მიდგომების ინტეგრირებით ეროვნულ და ადგილობრივ ბიუჯეტებისა და ეროვნული განვითარების გეგმებისა და სოციალური დაცვის სქემების შემუშავებაში; ურბანული განვითარების პროექტებისთვის მონაწილეობრივი რისკების შეფასების პროცესის ინტეგრაციით; ან მცირე და საშუალო საწარმოების მდგრადობის გაძლიერების გზით.

Published by

Deutsche Gesellschaft für
Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

Registered offices Bonn and Eschborn, Germany

Global Initiative on Disaster Risk Management
GIZ Office Bonn
Friedrich-Ebert-Allee 32+36, 53113 Bonn
Phone +49 (0)00 123 456 789
Fax +49 (0)00 123 456 789
www.giz.de/www.gidrm.net

As at

March 2023

Contact

Jacqueline Begerow | jacqueline.begerow@giz.de

GIZ is responsible for the content of this publication.

On behalf of

Federal Ministry for Economic
Cooperation and Development (BMZ)